№ 35 18 თებერვალი, ხუთშაბათი. 1866—1882 18 თებერვალი, ხუთშაბათი. № 35

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ლუბის ქვემოთ

ხელის-მოწერა

მიიღება თბილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერასიმის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა . . . | 9 მან. | სამის თვისა . . . | 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . . | 5 მან. | ერთის თვისა . . . | 1 მან. |

ფასი განცხადებისა.

დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ. [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივი [illegible] ზე შაური.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

## ტელეგრამმა

(„საერთაშორისო ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურგი. 16 თებერვალს. წელს ეკატერინო-ბურგ-ტიუმენ დონეცკის ქვა-ნახშირისათვის საჭირო რკინის გზის გახსნებას შეუდგებიან; შემდეგ ელეცის, პერეკოპის, რჟევო-ვიაზემსკის რკინის გზისა, რადგან ეს გზა ამ ადგილებში მარილის საზიდრად ძლიერ არის საჭირო.

პოლიციას და მღვდლებს მინდობილი ექნებათ თვალ-ყური ადევნონ იმ მასწავლებლების პოლიტიკურ ყოფაქცევას, რომელთაც მასწავლებლის მოწმობა არა აქვთ და კერძო სახლებში ასწავლიან.

ის საგლეხო ბანკი, რომელსაც მთავრობა აფუძნებს, მიწების საზოგადოებასა, გლეხების ამხანაგობასა და კერძო გლეხებისაც ასესხებს ბანკიდამ ფულს. ამ ბანკის წესდების დამტკიცებას ამ დღეებში მოელიან. თავნ-ფულად ბანკს სამი მილიონი მანეთი ექნება. სესხს ნაღდ ფულით გასცემს. ბანკის განყოფილება იქნება ყველგან, სადაც სახელმწიფო ბანკის კანტორებია და აგრეთვე სახაზინო პალატა.

პეტერბურგის ბირჟა, 15 თებერვ.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა— | 95 | 25 |
| მეორესი— — — — | 91 | 25 |
| მესამესი — — — — | 91 | 50½ |
| მეოთხესი — — — | 91 | 5 |
| მეხუთესი — — — | 90 | 25 |
| აღმოსავლეთის პირვ.— | 90 | 5 |
| აღმოსავლეთის მეორე | 90 | 5 |
| აღმოსავლეთის მესამე | 90 | „ |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8 | 10½ |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 217 | 75 |
| მეორე სესხის — — | 216 | 25 |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 24—40 | პენსი |
| ჰამბურგი — | 207—87 | ცენტი |
| პარიჟი — — | 257—„ | სანტიმი |
| ბერლინი — | „—„ | პფენიგი |

## დღიური

ჩვენ გვითხრეს, რომ კავკასიის სასწავლებლო მაზრის მზრუნველი ბ. იანოვსკი ყოფილა ამ დღეებში ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში, დილიდამ ნაშუადღევის ორ საათამდინ დაუყვია აქ, მოუსმენია იმ დღის თითქმის ყველა გაკვეთილები, უკითხავს ბევრი შაგირდებისათვის, განსაკუთრებელი ყურადღება მიუქცევია რუსულ ენის შესწავლისათვის და ბოლოს დიდის კმაყოფილებით გამოსულა იქიდამ. სასწავლებლის მოთავეებისა და მასწავლებლისათვის უთქვამს: თქვენი სასწავლებელი ტფილისის ყველა კერძო სასწავლებელს სჯობიანო, და ბევრ სახელმწიფო სასწავლებელსაცაო. კმაყოფილი დარჩენილა განსაკუთრებით იმისთვის, რომ რუსული ენა კარგად შეუსწავლიათ შაგირდებსაო.

ურიგო არ იქნება აქვე მოვიგონოთ, რომ ამ სათავად-აზნაურო სასწავლებელში საზოგადოდ სწავლის სისტემა და კერძოდ რუსულ ენის პროგრამმა ბევრში არ ეთანხმება იმ პროგრამმას, რომელიც ბ. იანოვსკისაგან არის შედგენილ და პირველდაწყებით სასწავლებელთა სახელმძღვანელოდ გამოცემული. მაგალითად, თუმცა, როგორც ბ. იანოვსკის პროგრამმა თხოულობს, რუსული ენის შესწავლას აქ ყმაწვილები პირველ წლის მეორე ნახევრიდამ არ იწყებენ, არამედ მეორე წლიწადს, ისიც ცოტ-ცოტათი, მაგრამ ამ სასწავლებელის შაგირდები, როგორც გვითხრეს და როგორც თვით ბ. მზრუნველიც დარწმუნებულა, ორი და სამი წლის განმავალობაში ბევრად უკეთ ასწრობენ ამ უცხო ენის შეთვისებას და შესწავლას, ვინემ ის შაგირდები სახელმწიფო სასწავლებლისა, რომელთაც პირველ წლიწადსავე აწყობინებენ რუსულ ენის სწავლას, აზეპირებინებენ ვაუგებარ რუსულ სიტყვებსა...

* * *

თუმცა პოლიციამ გამოაცხადა, რომ ადრესის სტოლის დავთრებში ცნობები, რუსულ ენის გარდა, ქართულად, სომხურად და თათრულადაც შეიძლება ჩაიწეროსო და თვით იმ სტოლის დავთრებშიაც არის ამ ადგილობრივ ენებზე ცნობების ჩასაწერი ხაზები, მაგრამ ახლა, როგორც გვაცნობებენ, პოლიცია თხოულობსო, რომ ეს ცნობები უეჭველად რუსულ ენაზედ იყოს ჩაწერილი და რამდენსამე კაცს, რომელთაც ქართულად ჩაეწარათ, უკან დაუბრუნეს პოლიციიდამ დავთრებიო.

სხვა შევიწროებას, რომელიც ამ ადრესის სტოლმა მოუტანა ქალაქის ღარიბ ხალხს, ესეც მიემატა...

* * *

ამ კვირას, 21 თებერვალს, საზაფხულო თეატრში ხელ-მეორედ იქნება დადგმული ცოცხალი სურათები „ვეფხის ტყაოსნიდამ". იმ ათ სურათს გარდა, რომელიც ამას წინად დადგეს, როგორც გვითხრეს, მეთერთმეტე სურათიც იქნებაო, რომელიც წარმოადგენს: ტახტზე დაბრძანებულს თამარ დედოფალს, გარშემო ამალი, წინ ცალ მუხლ-მოდრეკილი დგას შოთა რუსთველი და მიართმევს თავის უკვდავ ქმნილების „ვეფხის ტყაოსნის" ხელ-ნაწერს.

ამ სურათებსაც, როგორც პირველად, დადგამს მხატვარი ზიჩი და, იმედია, ისეთისავე ხელოვნებითა და დიდებულებით დადგამს, როგორც პირველად.

სასურველია მხოლოდ, რომ ამ ჯერობით უფრო მომეტებული სინათლე მოჰფინონ ცოცხალ სურათების წარმომადგენელ პირთ, თორემ წარსულ წარმოდგენაზე ზოგიერთი მშვენიერი, ტიპიური სახეები, ტანთსაცმელი მომქმედ პირებისა და აგრეთვე სხვა მოწყობილობა ძალიან მკრთალად ჩნდნენ და მაყურებელი ჯეროვნად ვერ სტკბებოდა იმათის ცქერით.

* * *

ბ. ანტ. ფურცელაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ამ წლის „დროების" მე-18 ნომერში დაბეჭდილი ფელეტონი „ქართლის პანარამა" იმას

«დროების» ფელტონი, 18 თებერვ.

## პირველ მაისის პანარამა ამერ-იმერთა.

მაისში თავად-აზნაურობის ყრილობაო, გაზეთებმა გვაცნობეს. მაშინვე ვიფიქრე, უთუოდ ქართული გიმნაზიის საქმეც დაბოლოვდება-მეთქი!.. მთელი დღე ამ ფიქრში გავატარე. ღამე კი შემდეგი სანატრელი სიზმრები ვნახე:

ქალაქში ირაკლის სახლები გატენილი იყო თავად-აზნაურით. უცებ ამ ბრბოდგან წინ წამოდგა ჩვენი პატივცემული მოხუცი „პირად ბადრი, ტან-დაბალი, საქმით წმინდა, გულ-მხურვალი" და შემდეგი უებარი გიმნაზიის სასარგებლო სიტყვა სთქვა:

— ბატონებო! დღეს ყველა ხედავს, ჩვენი ქვეყანა რა უბედურ მდგომარეობაშია, . . . აბა ვინც მამულის შვილია, აქ დაამტკიცებს საქმით! ამ ყრილობის მიზანია ქართული გიმნაზიის გამართვა ჩვენივე ხარჯით. ამას, როგორც მოგეხსენებათ, ბლომად ფული უნდა... ფული კი ქართველების მოსისხლე მტერია! თუ კი რომ ჩვენი მამა-პაპა საბერძნეთის მონასტრებს ბერებისთვის სწირავდა დიდ-ძალ მამულს, ჩვენ, იმათი შთამომავლობა, ჩვენივე შვილების სწავლა-განათლებისთვის დავზოგავთ რასმე? რომ ჩვენი გვარი ყველა საზოგადო საქმეში პირველი ყოფილა, მეც ვამტკიცებ იმათ შვილობას: მომავალი გიმნაზიისთვის შემიწირავს ჩემი მამული, მშვენიერი სახლის ალაგი ქაშვეთის გვერდით, საიდანაც მოსვლენ ნამდვილ მამულის შვილებს ესმოდეს და გულს ულხენდეს შემდეგი სიტყვები:

„თვითონ დრომ ვერა შესცვალა მის გული ანდამატისა"
იგი მხნე, იგი მებრძოლი უკუღმა განათლებისა".

„ღმერთმა ინებოს, ამ ალაგას ყურთმაჯ ბრიალის, ჯირით სრიალის" მაგივრად ჭკუას ესრიალონოს!.."

ამის შემდეგ დაიწყო მეორემ, რომლის სიმდიდრე და დიდ-კაცობა განთქმულია მთელ საქართველოში.

— ბატონებო! თუმცა ჩემ გვარს საზოგადო საქმეში თავი არაფრით დაუმსახურნია, მეც აქამდის ყველა საზოგადო საქმე „ფეხებზე მეკიდა", ახლა კი წარსული ამ საქმით მინდა ჩავრეცხო. ჩემი ყოველი შეძენილი და მამა-პაპეული მამული შემიწირავს მომავალი გიმნაზიისთვის!..

— ა შენა ღმერთმა, კაი შესაწირავია!

შემდეგ წარმოდგა ისტორიის მოყვარული და დაიწყო:

— ბატონებო! ჩემი ქალაქის მამული მშვენიერის სახლებით შემიწირავს მომავლის გიმნაზიის არგონავტებისთვის! მას უკან პატარა ყმაწვილმა გამოაცხადა:

— ბატონებო! მე ჩვენ მოხუცს ყველაფერში ვბაძავდი, ახლაც უკან არ დავიხევ. თუმცა ტანად პატარა ვარ, მაგრამ ორი დიდი სამფლობელო მიპყრია, ორივე შემიწირავს მომავლის გიმნაზიისთვის...

ბოლოს შაკ ღენერალმა დაიწყო:

— ჩვენებს საზოგადო საქმე ჟამსავით სჯავრებიათ ძველად, ახლაც და შემდეგშიაც ასე იქნება, როგორც კოჭებში ვატყობ ჩვენ ახალგაზდობას. 1880 წ. მარტში ცუნცულიამ და მ—ბარიჩმა დაამტკიცეს, რომ თუ ქართულ გიმნაზიას თავად-აზნაურობა თავის ხარჯით დაარსებს, პოლიციის პრისტავი ყოველ წლივ სახლში ჩაუდგება ამავე ბატონებს და კამბეჩებს გაუყიდის. ისიც დავამტკიცეთ, რომ აპასთუმანსა და სხვა სასიამოვნო ალაგებში ლომბ სონიჩკებისა, ნინიჩკებისათვის პიკნიკების მართვაში ქსნისა და ლიახვის ხეობები პრიკაზსა და პოლოსებს ჩ უყარეთ ხელში. ახლა მე ვამტკიცებ ამ საქმის უვარგისობას...

სიტყვა აღარ დააცალეს, პანღურით გამოაგდეს გარეთ.

არ ეკუთვნის. მართლაც, ვამოწმებთ, რომ ეს ფელეტონი იმის დაწერილი არ არის.

*
* *

თამარ-დედოფალს, როგორც გვითხრეს, ამ ცოცხალ სურათებში წარმოადგენს პიკო ჩოლაყაშვილის მეუღლე კ-ნა მელანია.

*
* *

ამ დღეებში ვლადიკავკაზში ერთმა რუსმა ნ. სემიონოვმა გამოსცა რუსულად პატარა ბროშიურა, სახელად „ზღაპრები და ლეგენდები ჩაჩნებისა". წიგნი შეიცავს ექვს თვალთ-მაქცურ ზღაპარს, ოთხ სახუმრო ზღაპარს და სამსაიც ლეგენდას.

*
* *

ქუთაისიდამ გვწერენ, რომ გავლილ პარასკევს 12 თებერვალს საღამოს 5 საათზე გასჩენია ცეცხლი ლუკა ხარიპარიის სახლს სომხების ეკკლესიის გვერდით და, თუმცა ბევრი ცდილან, მაგრამ სახლი ვერ გადაურჩენიათ, სრულებით გადამწვარა. ორ-სართულიანი ძველი სახლი იყოვო, ქვემო სართული ქვითკირისა და ზემო ხისა; საზღვეველ საზოგადოებაში (სტრახში) ოთხმოც თუმნად შეტანილი, მებელიც ორას ოთხმოც თუმნად. ამას გარდა იქაურ სააღგილ-მამულო ბანკშიაც ყოფილა ოთხმოც თუმნად დაგირავებული.

## რუსეთი

(გაზეთებიდან)

განკარგულებაა, რომ თუ ვინიცობაა, ინგლისისაგან დამორჩილებულმა აიუბ-ხანმა სურვილი განაცხადა რუსეთში გადმოსახლებისა, წინადადება მისცენ მას გადავიდეს სპარსეთში, რომ რუსეთის და ინგლისის მმართებლობათა შორის რაიმე განხეთქილება არ მოხდეს.

—

ინგლისურ გაზ. „ტაიმსში" მოყვანილია მოხსენება რუსეთის ინგლისელ ელჩებისა შესახებ ებრაელთა შევიწროებისა რუსეთში. ამ მოხსენებებით ცოტა არ იყოს მცირდება ის ბრალი, რომელიც რუსეთს დაადვეს ებრაელების დევნისა და შევიწროების შესახებ. სხვათა შორის ოდესიდამ იწერებიან ზემოხსენებულს გაზეთში, რომ თ. დონდუკოვ-კორსაკოვმა სასტიკი ზომები მიიღო ამ უწესოებას წინააღმდეგ, თვით წინ-უძღვა ჯარს, რომელიც ებრაელებზედ ამდგარ ხალხის დასამშვიდებლად იყო გამოყვანილიო და ბევრიც დაატუსაღაო.

—

გაზ. „რუსკი კურიერში" იწერებიან ქ. პეტროპავლოვსკიდამ (კამჩატკაშია), რომ განსვენებული იმპერატორი ალექსანდრე მეორის გარდაცვალების ამბავი 26 ივლისს მისულა იქ, ესე იგი სწორედ ხუთი თვის შემდეგ.

—

თ. ლივენის სახელმწიფო ქონებათა მინისტრობის დროს გამოიცა რუსეთში ბრძანება, რომ სახელმწიფო და საზოგადო შენობანი ქვის ნახშირით დაათბონ ხოლმე. ეს ბრძანება აღსრულებაში არ მოდიოდა დღემდის. ამ ჟამად კი შემდეგი გარდაწყვეტილება გამოიცემა:

იმ ადგილებში, სადაც ერთი საჟენი კარგი დაჭრილი შეშა უფრო ძვირად დაჯდება, ვინემ ასი ფუთი ქვანახშირი, ყველგან სახელმწიფო, სამოქალაქო და საზოგადო შენობანი ვალდებულნი არიან ქვა-ნახშირით დაათბონ.

—

ფრანცუზული გაზეთი, რომელიც გამოდის პეტერბურღში, ამბობს, უცხო ქვეყნების გაზეთებს ავიწყდებათო ის პრინციპები, რომელნიც წარმოსთქვა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე III ტახტზედ ასვლისას, და იმიტომ აძლევენ ისეთს მნიშვნელობას ღენ. სკობელოვის სიტყვასაო. რუსეთის იმპერატორმა წარმოსთქვაო, რომ რუსეთის პოლიტიკა იქნება ნაციონალური, განსაკუთრებით მშვიდობიანური და მიმდევარი რუსეთის ეკონომიურის და მოქალაქობრივის მხარეთა განვითარებისა.

—

„კელნის გაზეთში" იწერებიან პარიჟიდამ, რომ ერთს თანამშრომელს გამბეტის გაზეთის, „ვოლტერისა", უნახავს ღენ. სკობელევი, რომელსაც შემდეგი სიტყვები უთქვამს იმისათვის:

„ღენერალმა, რომელიც კარგად იცნობს საფრანგეთს, მის პოლიტიკას და პოლიტიკურ პირთ, მითხრა: „მე წარმოვსთქვი პეტერბურღში სიტყვა, რომელმაც ბევრი აალაპარაკა. ეს არის მივიღე ცნობა, რომ იმპერატორს უნებებია ჩემი სახელი დაარქვას ერთს გემს, რომელიც კასპიის ზღვაში იმუშავებს. ეს იშვიათი ყურადღება ამტკიცებს, რომ მე კიდევ პატივ-დებაში ვარ და მხოლოდ ჩემის სურვილითა ვარ პარიჟში. თუნდ ჩემ გულ-ღიაობას მავნებელი შედეგი მოჰყვნდეს ჩემთვის, მე მაინც წარმოვთქვამ რაშიაც დარწმუნებული ვარ. მე ისეთს მდგომარეობაში ვარ, რომ თუ ომმა გამომიწვია, მემრე მე აღარაფერზე ვინაღვლი. დიახ, მე ვსთქვი, რომ ნემეცი—ჩვენი მტერია; მე ვფიქრობ, რომ საფრანგეთსა და სლავიანებს შორის კავშირითა მიეცემა ამ საქმეს შველა. საჭიროა დაუბრუნდეთ ევროპის თანასწორობას, მაგრამ ისე კი არა, როგორც ეს ტიერს ესმოდა. გერმანია დიდი შთანთქმელია, ეს კარგად ვიცით ჩვენ, და, სამწუხაროდ, თქვენც. აღმოსავლეთის საქმე უმთავრესი და დიდი ყურადღების ღირსი საქმეა. ამ საქმის შემწეობით უნდა აღვადგინოთ ჩვენ თანასწორობა, რომ ევროპაში არ იყოს მხოლოდ ერთი სახელმწიფო — გერმანია. ვიმეორებ, მე ვერწმუნები იმ დასასრულს, რომელიც სულითა და გულით მწადს. მწადს, რომ, თუ ეს ჭეშმარიტება აღიარებული იქნება, საფრანგეთსა და სლავიანებს შორის კავშირი აუცილებელია. ჩვენთვის ეს იქნება საშუალებად—დავიბრუნოთ ჩვენი დამოუკიდებლობა, თქვენთვის—დაიჭიროთ ხელ-ახლავ ის ადგილი ევროპაში, რომელიც დაჰკარგეთ".

## უცხოეთი

(გაზეთებიდან)

**ამერიკის შეერთებული შტატები.** საზოგადოდ მთელს ევროპაში და განსაკუთრებით ამერიკაში დიდი შებრალება და თანაგრძნობა გამოუცხადებიათ ამ უკანასკნელ ხანებში რუსეთში შევიწროებულ ებრაელთ. დიდი მიტინგი შეკრებილა ამერიკის ერთ დიდ ქალაქთაგანში, ნიუ-იორკში, ამ შევიწროებულ ებრაელთა ბედის გასაუმჯობესებლად. მიტინგზე წარმოუთქვამთ, სხვათა-შორის, რომ ამერიკას იმდენი შეძლება აქვსო, რომ მთელი რუსეთის ებრაელები, 3,000,000-მდე შეერთებულ შტატებში გადმოსახლოსო და აქ ბინა აუჩინოსო. ამას გარდა ამ მიტინგს დაუდგენია შემდეგი რეზოლიუცია:

„ნიუ-იორკის მოქალაქენი დიდი მწუხარებით ისმენდნენ იმ ებრაელების ტანჯვის ამბებს, რომელნიც რუსეთის ქ.ქ. კიევიდამ, ვარშავიდამ და ოდესიდამ მოდიოდა. ჩვენ, როგორც მოქალაქენი რუსეთთან მეგობრულ განწყობილებაში მყოფის რესპუბლიკისა, რომელმაც ისეთი თანაგრძნობა გამოუცხადა ამ უკანასკნელ ხანებში იმ უბედურის შემთხვევის გამო, რომელიც რუსეთს მოევლინა—ვითხოვთ, რომ სამართლიანად მოეპყრან რუსეთში ებრაელთა.

„ცივილიზაციის სახელით წინააღუდგებით ამ დევნას ებრაელებისას რუსეთში, რომელსაც საშუალო საუკუნოების ხასიათი აქვს. ჩვენ საუკუნეში, ყველასგან აღიარებული არის თანასწორი უფლება ყოველის ერისა,

---

ეს აღელვებული ხალხი დაატკბო თავის მშვენიერი აზრიანი სიტყვით ი. ჭ—მ:

— ბატონებო! მამა-პაპეული მამული შვილზე და შვილი-შვილზე უნდა გადადიოდეს. თორემ ხომ მოგეხსენებათ შთამომავლობა საქოლავს აგვიგებს. საუბედუროდ, ხომ ჩვენ ბევრი აღარა დაგვრჩენია-რა. მაშ რაც გადაგვრჩენია, იქიდან მაინც ცოტა რამ ვუწილადოთ იმათ უკანასკნელ ბედ-იღბალს განათლებას!

ყველამ ერთ-ხმად გადასწყვიტეს, ნადელების ფულს რომ აიღებენ, ნახევარი იმ ფულისა მომავალ გიმნაზიას შესწირონ. რომ მე პირველი თანავუგრძნობ ამ საქმეს, შემიწირავს ჩემი მამული და ნადელის ფულიცა.

ამას თან მოჰყვა კიდევ მშვენიერი სიტყვა ვ. მ—სა:

— ბატონებო! „ცდა ბედის მონახევრეაო". ეხლა ხომ მთავარ-მმართებელი დიდი ცვლილებების მოხდენას აპირებს ჩვენ ქვეყანაში. ამოვირჩიოთ მთელმა საქართველოს ხალხმა რამდენიმე სანდო კაცი და შემდეგი თხოვნა მივანდოთ: სასწავლებლებში და სასამართლოებში საიქიოს ენები თავის გზაზე გაისტუმრონ და ჩვენს ენას ტოლუმბაშობა მოულოცონ. ერთიც კიდევ: ამ დღეებში საბერძნეთიდამ მოსულმა ბერებმა ხელ-ახლა ჩაიბარეს ჩვენი მამა-პაპისგან შენაწირი მამულები. „შინ რომ ბავშვი ტიროდეს, გარეთ ტაბლას რა ხელი აქვსო". ამ ანდაზისა არ იყოს. ჩვენმა ძველებმა ჩვენსავე სწავლა-განათლების მოღვაწე ქართველ ბერებს შესწირა ის მამულები და არა ამ კუდმოგლეჯილებს. ამაზედაც ვიშუამდგომლოთ, რომ ეს მამულები ისევ დაგვიბრუნონ, ჩვენისავე შვილების სწავლა-განათლების მისაღებად.

უკანასკნელად დაიწყო ი. გ—მა:

— თუ არა გჯერათ მომავალი გიმნაზიის სარგებლობა, მიბძანდით ჩვენ ნორჩ თავად-აზნაურების სკოლაში. ნახეთ ნამდვილი მამა-შვილური გავლენა და მიმართულება ზედამხედველისა ბავშვებზე. შემდეგ წაბძანდით ინსტიტუტში, გიმნაზიებში, ნახეთ აქედან კურს შესრულებული ყმაწვილები. თუ მეტის სიხარულიდგან ცრემლები არ წამოგცვივდეთ, მე მაგინეთ. ასწავლეთ დედა-ენა რიგანად და თუ პატარა შოთაები არ გამოგვეზარდნენ, მარჯვენას მოვიჭრი!..

ტფილისში რომ ასე სანეტაროთ გათავდა საქმე, ფიქრმა და დარდმა დასავლეთ საქართველოსკენ გამიტაცა. ვნახოთ იქაც უარესი ყრილობა—ამავე საქმის თაობაზე. შევხედოთ, წამოდგება ერთი ზორბა ლიპიანი და დაიწყობს:

— ბატონებო! ყველა შეიტყობდით, როგორც სახელოვანად გადაუწყვეტიათ ქართული გიმნაზიის საქმე ტფილისში. თავის დღეში ჩვენი მხარე ქართლს უკან არაფერში ჩამორჩენია და ახლაც სირცხვილს ნუ ვჭამთ. აი ჩემი დიდი სარჩო-საბადებელი, (რომელსაც ეხლა მუქთად ბევრი მელა-კუდა ხალხი სჭამს), შევწირავ საკუთარი ქართულ გიმნაზიისთვის!..

ქვემოურმა წითურმა ესევე გაიმეორა. ქართლელებზე ბევრი შესწირეს ამ საქმეს. ბოლოს აკაკიმ დაიწყო თავისებური კილოიანი მჭევრ-მეტყველება, რომლითაც დაუმტკიცა უეჭველი საჭიროება ნადელების ფულის შეწირვისა ამავე მიზნისთვის. აქაც ერთ-ხმად გადაწყვიტეს შეწირვა...

ეს ორი კარგი სიზმარი ვნახე, მაგრამ მესამემ ორივეს გადააჭარბა.

ქალაქში შეყრილა მთელი ამერ-იმერის მანდილოსანნი და შემდეგი სჯა აქვსთ. წამოდგება რძალი ამერი-ქალი იმერი ა. მ—სა და დაიწყებს დარბაისლურ სიტყვას:

— ქალბატონებო! ამ დღეებში ორი სასიქადულო საქმე გადასწყვიტა მთელმა საქართველოს თავად-აზნაურობამ. როდემდის უნდა ვიყვნეთ მათი სასაცილო,—საკიჟინო?! ჩვენც ჩვენ თავს მოუხერხოთ რამე, რომ ყველაფერ საქმეში გვერდში ამოუდ-

რა სარწმუნოებაც უნდა ჰქონდეს მას...

„ჩვენ თანაუგრძნობთ ჩვენ თანამოქალაქეთ ებრაელთა იმ დახმარებაში, რომელსაც ისინი უწევენ ჩვენში გადმოსულ მათ ძმათ, ებრაელთ, და ჩვენის მხრით ჩვენც არ დავაკლებთ დახმარებას".

—

**ჩერნოგორია.** ავსტრიის აფიცრები იწერებიან ჰერცოგოვინიდამ, იმის თქმაო, რომ ჩერნოგორია დახმარებას უწევდეს აჯანყებულ ინსურგენტებს, არ შეიძლებაო. წინააღმდეგ ამისა ჩერნოგორიის კორდონი (სამზღვრებზედ დაყენებული ჯარები) მტკიცედ ასრულებს თავის დანიშნულებასაო.

ავსტრიის მმართებლობა გადახდას შეჰპირესია ჩერნოგორიას იმ ხარჯისათვის, რომელიც ამ სამთავროს მიეცემა ჰერცოგოვინაში ატეხილის ომის მიზეზით.

—

**საფრანგეთი.** ათას ნაირი ხმები და მოსაზრებანი გამოიწვიაო, იწერებიან, გამბეტტას უეცრად დაბრუნება პარიჟშიო. ამბობენ, გამბეტა ხელ ახლავ სცდილობს დაუახლოვდეს ახალის სამინისტროს თავს ფრეისინეს. ამას უჩვენებს გამბეტას გაზეთების მიმართულებაც, რომელნიც ამ უკანასკნელ ხანებში თანაგრძნობას უცხადებენ თითქო ფრეისინიეს სამინისტროსაო.

— გამბეტას უნახულებია, რუსის ღენერალი სკობელევი.

—

**გერმანია.** სკობელევის სიტყვის შესახებ ამბობს ნემეცური „ჩრდილოეთ გერმანიის გაზეთი", რომ ის ყურადღება, რომელიც დაიმსახურა ამ სიტყვამ გაზეთების მხრით, არ ეხამება მის პოლიტიკურ მნიშვნელობასაო. ღენ. სკობელევის სიმამაცე სულაც არ გვაძლევს ჩვენ იმის ნებასო, რომ მის პოლიტიკურ მოსაზრებათ უმეტესი მნიშვნელობა მივცეთ, ვინემ სხვა მამაცი აფიცრისას; პოლიტიკური მხარე მისი სიტყვისა სულაც არ არის ყურადღების ღირსიო...

---

ამ წესდებულების დამტკიცება ინება მისმა ბრწყინვალებამ ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებელმა.

მთავარ-სამმართველოს უფროსი, ღენერალ-ლეიტენანტი სტაროსელსკი.

25 ნოემბერს, 1881 წ.
ქ. თფილისი,

## წესდებულება.

### კავკასიის ისტორიის და არხეოლოგიის საზოგადოებისა.

(დასასრული *)

14. წევრნი კორრესპონდენტნი ფულით არაფერს არ გარდაიხდიან, მაგრამ ჰკარგვენ წევრის სახელს, უკეთუ წლის განმავლობაში არაფერი არ აუწყეს-რა საზოხადოებას და უკეთუ ხელ-მეორედ მოინდომებენ წევრობას — კორრესპონდენტობას, აღირჩევიან კენჭის yრით.

15. წევრნი საზოგადოებისა, ნამდვილნი, კორრესპონდენტნი და დამხმარებელნი გამოირიცხებიან საზოგადოებიდამ, მაგრამ სხვა ნაირად არა, თუ არ კენჭის-yრით, რომელიც შეიძლება მოხდეს ხუთის წევრის თხოვნისა მებრ.

16. ნამდვილნი წევრნი აირჩევენ თავიანთ შორის თავს-მჯდომარეს სეკრეტარს ანუ მდივანს ან ხაზინადარს ერთის წლობით და კანდიდატებს, რომელნიც დაიჭერენ მათ ალაგს, უკეთუ ისინი ან ავად იქნებიან, ან არ დაესწრებიან Тფილისში.

შენიშვნა. საზოგადოებაში თანამდებობის აღმასრულებელნი განთავისუფლდებიან იმ მოვალეობათაგან, რომელნიც მოხსენებულია მე-11 §.

17. სხდომანი იქმნებიან **ჩვეულებრივნი** და **არა-ჩვეულებრივნი.** ჩვეულებრივნი სხდომანი დაინიშნებიან საზოგადოების მეცნიერულ შრომისათვის და უნდა შესდგებიან არანაკლებ ორი ნამდვილის წევრისა, გარდა თანამდებობის აღმასრულებელთა. არა ჩვეულებრივნი სხდომანი მოხდენილ იქმნებიან საზოგადოების საქმეთა გამგეობისათვის, თანამდებობის პირთა და ახალ წევრთა ასარჩევად—მხოლოდ ნამდვილ წევრთა თანადასწრებით, რომელთ რიცხვი არა ნაკლები ხუთისა უნდა იყვეს გარეშე თანამდებობის მექონეთა.

18. ჩვეულებრივნი სხდომანი საზოგადოებისა დაინიშნებიან თავს-მჯდომარის მიერ საჭიროებისამებრ, გარნა თვეში ერთხელ მაინც. სხდომანი არ მოხდებიან 15 მაისიდამ 15 სეკტემბრამდე. ჩვეულებრივ სხდომათათვის დანიშნული დღე თავის დროზე გამოცხადდება გაზეთებში. არა-ჩვეულისათვის დღე არ განისაზღვრება: იგი დაინიშნება ან თავს-მჯდომარის მიერ, ან ხუთის ნამდვილის წევრის მოსურვებისამებრ.

19. წლის დამდეგს ყოველ-წლივ იქმნება საერთო ყრილობა, რომელზედაც წაიკითხვის წლიური ანგარიში.

20. საზოგადოება ჰბეჭდავს თავის ნაშრომსა თავისავე პასუხის მგებლობის ქვეშე.

21 საზოგადოება ირჩევს თვის შორის სამს წევრს, რომელნიც თავსმჯდომარეს და მდივანთან ერთად შეადგენენ გამომცემილს ანუ დამბეჭდავს კამიტეტს გამგებლობისათვის გამოცემათა საზოგადოების ხარჯით. კამიტეტს აქვს უფლება მოიწვიოს დასახმარებლად სპეციალისტები წევრთაგან და არა-წევრთაგანაც, რომელთაც ამ შემთხვევაში ეძლევათ თანაბარი ხმა კომიტეტის წევრთან.

22. საზოგადოება გადასცემს ყოველს შეძენილს ძველს ნივთს კავკასიის მუზეუმში, ხოლო წიგნებს და ხელ-ნაწერებს Тფილისის საზოგადო ბიბლიოთეკას ცალკე ნუსხებითურთ.

23. საზოგადოების წევრთ აქვთ უფლება უფასოდ იარონ მეცნიერულის მუშაობისათვის არხეოლოგიურს და ისტორიულ განყოფილებაში კავკასიის მუზეუმისა იმ დროს, როცა ხალხს არა აქვს იქ შესვლის უფლება, აგრეთვე Тფილისის ბიბლიოთეკაში, ოღონდ იმ დროს კი, რომელზედაც მორიგდებიან მსურველნი და მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მმართველნი.

24. Тავსმჯდომარე მოიწვევს საზოგადოების წევრთა სხდომებზედ, ყურს უგდებს წესდებულების უნაკლულოდ აღსრულებასა და ბაასის მართებულის მსვლელობას სხდომების დროს. აგრეთვე აქვს უფლება ხარჯი გასწიოს 100 მანეთამდე საზოგადოების ფულებიდამ.

25. საზოგადოება მიწერ-მოწერაში ყოველს პირთან თუ დაწესებულებასთან თავსმჯდომარის საშუალობით, რომელსაც მდივანი ეხმარება და ამისთვის აქვს თავის ბლანკები და ბეჭედი ზედ-წარწერილობით: „**ბეჭედი კავკასიის ისტორიის და არხეოლოგიის საზოგადოების**".

26. მდივანს აქვს მინდობილი მიწერ-მოწერა, სხდომათა პროტოკოლების შედგენა, აგრეთვე წლიურის ანგარიშებისა, და აღნუსხვა საზოგადოებისამიერ, შეძენილის ნივთებისა რომელიც გარდაეცემა მუზეუმში და Тფილისის ბიბლიოთეკაში.

27. ხაზინადარი საზოგადოებისა თვალ-ყურს ადევნებს და ცდილობს თავ-თავის დროზე გადასახადი იქმნეს შემოტანილი წევრთაგან, ინახავს მის ფულებს და აწარმოებს შემოსავალ-გასავლის წიგნს.

28. Уოველი ხარჯი 100 მანეთზე მეტი უნდა დამტკიცდეს საზოგადოების სხდომაზე ხმის უმეტესობით.

29. Уოველ წლის გასულს აღმოირჩევა სარევიზიო კამისია სამის ნამდვილის წევრისაგან, რომელიც ვალდებულია შეამოწმოს კასსა საზოგადოების და წარმოება შემოსავალ-გასავლის წიგნებისა.

---

*) იხ. „დროება" № 34.

---

გეთ მათ. მასუკან იმისთანა დაცინვას ველარ გაბედვენ, როგორც აკაკი ამბობს: ლაპარაკიც არა ღირს ქალებზედაო... მაშინ ამისთანებს თუ გაბედვენ, სულ ცხვირში ძმარი ვადინოთ. ჩემი აზრი ეს არის: იმედი და მხსნელი ამისთანა სასაცილობისა ჩვენი თავის მეტი არა ვინ არის. მაშ ჩვენვე, ვისაც როგორ შეგვიძლიან, ყოველ წლივ ან ერთბაშად შევსწიროთ ფული ან მამული. Тუ მამაკაცები ორს დააარსებენ, ჩვენ ერთს დავჯერდეთ! აი მე ჩემი მამული შემიწირავს ამ საქმისთვის. (მს უხვნი გამცემნი მომეტებულნი უშვილონი არიან. აშენათ ღმერთმა! შვილები რომ ჰყოლოდათ, ჩვენსავით ბედოვლათები იქნებოდნენ და ყველაფერს პოლოსებს ჩაუყრიდნენ ხელში. ახლა კი რამდენი ნიჭიერი შვილი გამოეზდება მამულსა-მათ სადიდებლად, ჩვენ სანუგეშოდ)!

შემდეგ დაიწყო არხეოლოგიურ კრებაში მოსაუბრემ დ. მ. ჯ—მ.

— ქალბატონებო! Тუ კაცებმა თავიანთი შვილების აღზრდისათვის არაფერი დაზოგეს და ასეთი დიდ-ძალი მამული გაიმეტეს, ჩვენ, რომლებსაც მომეტებული მოვალეობა გვაწევს იმათ აღზრდაში, დავზოგავთ რასმე? აბა, ვისაც სამშობლო და შვილები სწამს, ახლა გამოჩნდება!

მოჰყვა პატივ-ცემული ა. მ—შვილისა და დაიწყო:

— ქალბატონებო! ხომ მოგეხსენებათ, ქალებს რა დიდი გავლენა აქვსთ ბობოლა ქვეყნის მმართველებზე. ჩვენც ყველამ ერთად და თვითეულმა ცალ-ცალკე ვეცადოთ ჩვენი ენის აღდგენას. Ჯერ საკუთარ ოჯახებში მასუკან სასწავლებლებში და სასამართლოებში. საბერძნეთის შეწირული მამულები გამოვაწირვინოთ და ჩვენ საკუთარ გიმნაზიას მოვახმაროთ. აი ამ საქმეს მე ვკისრულობ და ვინც მამულის-შვილია, მხარს დამიჭერს...

ამ საქმის მოთაოეობა იკისრეს მ. ლი—სამ. „ვეფხის ტყაოსნის" ცოცხალი სურათების მოთავემ ბ. ბ—სამ და სხვა ბევრმა დიდი და პატარა-კაცების მანდილოსნებმა.

ამ დროს ერთი მოხუცი პატივცემული დიდი კაცის ცოლი წამოდგება და დაიწყებს.

— ქალბატონებო! აი რა გავლენა აქვსთ ქალებს დიდ-კაცებზე—საკუთარი ცხოვრებიდან მოვიყვან მაგალითს: ამ რამდენიმე წლის წინად უნდა ეთამაშნათ ი. ჭ—ს სცენები. გუბ. ნებას არ აძლევდა. ამავე დროს ი. Тუმ. იძახდა დიდ თეატრში ყველიერში ყველა დღეები დაჭერილია, თქვენთვის (ქართველებისთვის) არა სცალიანო. მრთ დიდ სასამართლოში საზოგადო საქმე იყო ძალიან საჩქარო. ისინი კი, როგორც მოგეხსენებათ, „ზავთრა ზავთრას" იძახდნენ. კაცები ბევრი ეცადნენ, მაგრამ ვერა გახდნენ-რა. იმ დროს ბალი ჰქონდა ერთ ბობოლას და მეც როგორც დიდი-კაცის ცოლი, დამპატიჟეს. აბა ჩემი ხნის ადამიანს რა მებალებოდა, მაინც არ დავიშალე და წავედი. სხვები რომ ხტუნაობდნენ, ტლიკინებდნენ, ჩემ გულში სხვა დარდი ტრიალებდა: გაცხარებული ხან ერთი კუთხისკენ გავექანებოდი, ხან მეორესკენ; ბოლოს ჩემ წადილს ფრთები შეესხა: სამნივ ბობოლა ბატონები ერთათა ვნახე. როგორც მოგეხსენებათ ჩვენი ლაქუცი, კუდის ქნევა სულ ზედ დავასრულე, რაც კი მესწავლა და დამენახა სადმე. მაგრამ ვერა გავხდი რა. სულ ხელები გაასავსავეს: არ შეიძლება, არ შეიძლებაო. მე მაინც იმედი არ დავჰკარგე, საითაც წავიდნენ, ჩრდილსავით უკან დავედევნე. იმდენი ვზდიე, მინამ თვითონ დიდი ბობოლა თავს არ წამოგვადგა. იმან გაკვირვებით იკითხა:— რა ანბავიაო? მოვახსენე, თუ რაა ჩემი დარდი; ბძანა:—„აღსრულდეს ეგ თხოვნაო". ასე, ჩემო ქალბატონებო, ვისაც საზოგადო საქმე გიყვართ ხტუნაობის დროსაც ბევრი გაკეთდება.

ფანქრათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბალანსი

## თფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, 1 იანვარს 1882 წელსა.

აქტივი.

| | მან. | კ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ნაღდი ფული კასსაში — — — | 1,053 | 42 | | |
| გირაოს ფურცლები გადამ. — — | 4,000 | | | |
| " " უვადოთ წარმოდგენილი ვალის გარდასახდელათ — — | 22,500 | " | 27,553 | 42 |
| 2) მიმდინარე ანგარიშებზე: | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის თფილისის განყოფილებაში — — — — | 39,228 | 29 | | |
| ბ) კერძო ბანკებში — — | 1,185 | 61 | | |
| გ) კორრესპონდენტებთან — — | | | 40,413 | 90 |
| 3) შესატანი: | | | | |
| ა) საწევრო ფული თფილისის ურთიერთ შორის ნდობის საზოგადოებაში — | — | — | 30 | " |
| ბ) — — — | | | | |
| 4) ბანკის სარგებლიანი ქაღალდები: | | | | |
| ა) სახელმწიფო და გარანტიის ქაღალდები შენახული სახელმწიფ. ბანკის თბილისის განყოფილებაში (101,200) — | 91,302 | 33 | | |
| ბ) სხვა სარგებლიანი ქაღალდები (8,000) | 9,199 | 04 | | |
| $_0/^0/^0$ — — — — — | 698 | 90 | 101,200 | 27 |
| 5) გრძელ-ვადიანი სესხნი, რომელიც გაცემულია ბანკის 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით: | | | | |
| ა) მიწა-წყლის გირაოზე $54\frac{1}{2}$ წლით — | 446,000 | " | | |
| ბ) მიწა-წყლის გირაოზე $43\frac{1}{2}$ წ. — | 378,700 | " | | |
| გ) ქალაქის უძრავს ქონებაზე გირაოთ $27\frac{1}{2}$ | 618,000 | " | | |
| დ) ქალაქის უძრავ ქონებაზე გირაოთ 18 წლით და 7 თვით — — — | 18,600 | " | 1,461,300 | " |
| 6) გრძელ ვადიანი სესხნი, რომელიც გაცემულია ბანკის 17 თებერვალის 1881 წ. წესდების ძალით და გირაოთ მიღებულს მამულზედ ურთიერთ შორის თავდებობის ქვეშ: | | | | |
| ა) მიწა-წყლის გირაოზე $43\frac{1}{2}$ წლით — | 269,000 | " | | |
| ბ) ქალაქის უძრავ ქონებაზე $27\frac{1}{2}$ წლით | 1,450,000 | " | 1,719,000 | " |
| 7) სესხნი, რომელნიც დანიშნული იყო გასაცემათ: | | | | |
| ა) მიწა-წყლის გირაოზე $43\frac{1}{2}$ წლით | | | | |
| ბ) ქალაქის უძრავ ქონებაზე $27\frac{1}{2}$ წლით | | | | |
| გ) " " " " 18 წლით და 7 თვით | | | | |
| 8) გადასახადი, რომელსაც ჰქონდა ლგოტა (§ 13) | | | | |
| ა) გრძელ-ვადიან სესხზე — | 100,410 | 07 | | |
| ბ) მოკლე ვადიან სესხზე — — | 2,287 | 34 | 102,697 | 41 |
| 9) ვადა გასული შემოსატანი ფული — | — | — | 20,435 | 66 |
| 10) მოკლე ვადიანნი სესხნი — — | — | — | 108,875 | " |
| 11) გირაოს ფურცლები, საკამისიოდ მიღებულნი (723,250) — — | — | — | 572,296 | " |
| 12) დაბრუნებული ხარჯი — — | — | — | 4,513 | 48 |
| 13) კუპონები, ვადის გასვლამდის გადასახდელი | | | | |
| 14) ხარჯი: | | | | |
| ა) ბანკის მოწყობისათვის — — | | | 5,128 | 94 |
| ბ) ბანკის გამგეობის შენახვა | | | | |
| ბალანსი | | | 4,163,444 | 08 |

| | მან. | კ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ძირის ფული: | | | | |
| ა) გრძელ-ვადიანი სესხისათვის — — | 174,580 | 76 | | |
| ბ) მოკლე ვადიანი სესხისათვის — — | 114,448 | 26 | 289,029 | 02 |
| 2) სათადარიგო თანხა: | | | | |
| ა) სესხი, რომელიც გაცემულია 28 მაისის 1874 წ. წესდებით ძალით — — | — | — | 14,972 | 33 |
| ბ) ურთი-ერთი შორის თანდებობით გაცემულ სესხზე | | | | |
| 3) თანხა საზოგადო საჭიროებისათვის | | | | |
| 4) " " რომელიც ზედამხედველ კომიტეტის განკარგულებაშია — — | — | — | 790 | 80 |
| 5) საყოველ-შემთხვევო თანხა — — | — | — | 6,356 | 64 |
| 6) გირაოს ფურცლები დასახურდავებლათ გამოცემულნი 28 მაისის 1874 წლის წესდების ძალით: | | | | |
| $54\frac{1}{2}$ წლით — — — | 446,000 | " | | |
| $43\frac{1}{2}$ " — — — | 378,700 | " | | |
| $27\frac{1}{2}$ " — — — | 618,000 | " | | |
| $18\frac{1}{2}$ და 7 თვით — — | 18,600 | " | 1,461,300 | " |
| 7) გირაოს ფურცლები, რომელნიც გამოცემულნია ურთი-ერთი შორის თანდებობის გირაოთ მიღებულ უძრავთ ქონებათა: | | | | |
| $43\frac{1}{2}$ წლით — — — | 269,000 | " | | |
| $27\frac{1}{2}$ " — — — | 1,450,000 | " | 1,719,000 | " |
| 18 წ. და 7 თვით | | | | |
| 8) გასაცემად დანიშნული გირაოს ფურცლები: | | | | |
| $43\frac{1}{2}$ წლით | | | | |
| $27\frac{1}{2}$ " | | | | |
| 18 წ. და 7 თვით | | | | |
| 9) მოსასპობლად დანიშნული სესხნი: | | | | |
| ა) გირაოს ფურცლებით — | 22,500 | " | | |
| ბ) ნაღდი ფულით — — | 540 | 51 | 23,040 | 51 |
| 10) ტირაჟში გამოსულნი გირაოს ფურცლები ჯერ წარუდგენელნი გადასახდელათ — | — | — | 34,650 | " |
| 11) გირაოს ფურცლების გადასახდელი კუპონები — — — — | — | — | 71,536 | " |
| 12) სარგებლის ფონდი — — — | — | — | 95,409 | " |
| 13) ვალის გასასტუმრებელი ფონდი: | | | | |
| $54\frac{1}{2}$ წლით — — — | 536 | 42 | | |
| $43\frac{1}{2}$ " — — — | 1,096 | 80 | | |
| $27\frac{1}{2}$ " — — — | 7,092 | 70 | | |
| 18 წ. " და 7 თვით — — | 545 | 07 | 9,270 | 99 |
| 14) ვალის გასასტუმრებელი ფონდი ურთიერთ შორის თანდებობით: | | | | |
| $43\frac{1}{2}$ წლით — — — | 633 | 77 | | |
| $27\frac{1}{2}$ " — — — | 12,360 | 47 | 12,994 | 24 |
| 18 " და 7 თვით | | | | |
| 15) გარდამავალნი ჯამნი: | | | | |
| ა) ნაღდი ფულით — — — | 35,542 | 43 | | |
| ბ) გირაოს ფურცლებით — — | 4,000 | " | 39,542 | 43 |
| 16) კორრესპონდენტები — — — | — | — | 311,773 | 70 |
| 17) მსესხებელნი — — — — | — | — | 1,480 | 35 |
| 18 დაფასების დროს და სხვა დასახარჯავი ფონდი — — — — | | | | |
| 19 მოკლე ვადიანი სესხთა სარგებელი — | | | | |
| 20) ჯარიმის ანგარიში — — — | | | | |
| 21) სხვა და-სხვა სარგებელი — — | | | | |
| 22) ნაღდი მოგება — — — | — | — | 72,298 | 07 |
| ბალანსი | | | 4,163,444 | 08 |

თავმჯდომარე ბანკისა თ. ი. ჭავჭავაძე.

წევრნი: { თ. დ. ავალიშვილი.
თ. ა. ჩოლოყაშვილი.

ბუხგალტერი ქ. ხაჩატურიანი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Февраля 1882 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი